საქართველო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 8709/01
05/10/2018

8709-01-2-201810051214

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის
აღმასრულებელ დირექტორს ქალბატონ ეკატერინე ურუშაძეს

ქალბატონო ეკატერინე,

თქვენი მიმდინარე წლის 18 სექტემბრის №11896 წერილის პასუხად, რომელიც ეხება 'საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის" მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციების გათვალისწინებას, წარმოგიდგენთ შემდეგ ინფორმაციას:

რეკომენდაცია №1. *შემუშავდეს იმ აქტივობების კომპლექსური გეგმა, რაც საჭიროა სურსათთან დაკავშირებული რისკების შეფასებისათვის წინაპირობის შესაქმნელად (მონაცემების შეგროვების სისტემები, კვალიფიციური კადრების მომზადება) და დაიწყოს აქტიური მუშაობა ამ მიმართულებით);*

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 29 აგვისტოს დამტკიცდა საქართველოს მთავრობის №442 დადგენილება „რისკის ანალიზის ფარგლებში რისკის შეფასების, რისკის მართვისა და რისკის კომუნიკაციის პროცედურების დამტკიცების შესახებ" , რომელიც ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან და ითვალისწინებს რისკის შეფასების განხორციელებას როგორც სურსათის უვნებლობის, ასევე ცხოველის საკვების უვნებლობის, ცხოველთა ჯანმრთელობისა და მცენარეთა დაცვის მიმართულებით. გამომდინარე აღნიშნულიდან, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, როგორც რისკის ანალიზის ორგანიზების განხორციელებაზე პასუხისმგებელი ინსტიტუცია, რისკის შეფასების სამსახურისათვის ტექნიკური მხარდაჭერის (სასემინარო სწავლებები) მიზნით მოიძიებს საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებს. აქვე აღვნიშნავთ, რომ მოსახლეობის ფაქტიური კვების შესწავლის საკითხის ინიცირებით სსიპ სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრმა მიმართა CIB პროექტის განმახორციელებელ ჯგუფს.

6 მარშალ გელოვანის გამზ. №6, ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013

რეკომენდაცია №2. *შეფასდეს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის საქმიანობა სურსათთან დაკავშირებული რისკების შეფასების კუთხით და გატარდეს ზომები ამ მიმართულებით ცენტრის საქმიანობის ეფექტიანობის მისაღწევად.*

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის საქმიანობა სურსათთან დაკავშირებული რისკების შეფასების კუთხით შეაფასა:

• TAIEX -ის მიერ დაფინანსებულმა ექსპერტმა, ჰელენიკის სურსათის სააგენტოს ოფიცერმა, ბ-ნ სტილიანოს კოულოურისმა. მასალა განთავსებულია ლინკზე: https://webgate.ec.europa.eu/TMSWebRestrict/expertMissionReport?eventID=63660&view=list&key=384c2aaf9486c97393280d7b3900437d

• ევროპის ფონდმა- მასალა განთავსებულია ლინკზე:: http://www.epfound.ge/ge/resources/ სურსათის უვნებლობის სახელმწიფო რეგულირება: საქართველოს ხელისუფლების მიერ 2015, 2016 წლებში გაწეული საქმიანობის შეფასება.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ რისკის შეფასების სამსახურის მიერ სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებულ რისკის შეფასების ანგარიშში მითითებული რეკომენდაციების საფუძველზე საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა შემდეგი ნორმატიული აქტები:

1.„სურსათში ტრანსცხიმის ნორმის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 13 ივნისის №262 დადგენილება;

2. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემის წესის, პირობებისა და სანებართვო მოწმობების ფორმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №426 დადგენილების მე-5 მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის 3^1 პუნქტი :

„3^1. გარდა ამ წესის მე-3 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნებისა, ფრინველის მექანიკურად განცალკევებული ხორცის იმპორტის ნებართვის მაძიებლის განცხადებას უნდა ერთოდეს ექსპორტიორი ქვეყნის აკრედიტებული ლაბორატორიის მიერ გაცემული სალმონელაზე (Salmonella) გამოკვლევის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, თითოეულ პარტიაზე";

3. "სუნელებისა და სანელებლების წარმოებასთან, გადამუშავებასა და ბაზარზე განთავსებასთან დაკავშირებით რისკის მართვის დროებითი ზომების მიღების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 7 თებერვლის №73 დადგენილება.

აგრეთვე შემუშავდა პალმის ცხიმის უვნებლობის მაჩვენებლების სახელმწოფო კონტროლის განხორციელების რეკომენდაციები;

რეკომენდაცია №3. *უზრუნველყოფილი იქნეს ცენტრის საქმიანობის გამჭირვალობა და ანგარიშვალდებულება. გავრცელდეს და გამოქვეყნდეს სწორი და სრული საჯარო ინფორმაცია.*

სსიპ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია რისკის შეფასების სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. (იხ. ლინკი: http://srca.gov.ge/about/risk_assessment) დამატებით აღვნიშნავთ, რომ სტრატეგული

კვლევების ცენტრის წინა წერილში (N3-243) აღნიშნულ შენიშვნაზე : „2018 წელს კი არც ერთი რისკის შეფასებაზე ცენტრს არ დაუწყია მუშაობა“, საქართველოს მთავრობის „რისკის ანალიზის ფარგლებში რისკის შეფასების, რისკის მართვისა და რისკის კომუნიკაციის შესახებ მთავრობის დადგენილების თანახმად, რისკის მართვის ორგანო მიმართავს ცენტრს პოტენციურ საფრთხის განხილვის დაწყების თაობაზე. განსახილველ მოთხოვნაში აღწერილი უნდა იყოს რისკის პროფილი.

პატივისცემით,

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის მოადგილე